

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №3

2016 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

„რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

„რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/12/2005, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 040.230.000.17.010.007.931) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. დაემატოს მე-10 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის ოდენობის განსაზღვრა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც ჩატარებულია აუქციონი/აუქციონები განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალში/არეალებში

1. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის ოდენობის დადგენა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას, როდესაც იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლში ჩატარებულია აუქციონი/აუქციონები, თუმცა განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალში, ხორციელდება სამ ეტაპად:

I ეტაპი: თითოეული აუქციონისთვის, რომლის ფარგლებშიც გაცემული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრული არეალი არ არის საქართველოს მთელი ტერიტორია, ხდება 1 მგკც-ის ღირებულების ექსტრაპოლაცია შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

$$I' = \frac{P'}{B' \times G'}$$

სადაც:

I' არის იმავე რადიოსიხშირულ ზოლში 1 მგკც-ის ღირებულების ექსტრაპოლირებული მნიშვნელობა ქვეყნის მასშტაბით;

P' არის რადიოსიხშირული რესურსის აუქციონის საბოლოო საფასურის ოდენობა ლარებში;

B' არის რადიოსიხშირული ზოლის სიგანე მეგაჰერცებში;

G' არის რადიოსიხშირული ზოლით დაფარული ტერიტორიაზე არსებული დასახლებული პუნქტების გეოგრაფიული კოეფიციენტების ჯამი, რომლის მნიშვნელობაც განისაზღვრება დანართ 7-ში მოყვანილი მეთოდოლოგიის შესაბამისად;



II ეტაპი: ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, გამოითვლება საქართველოს მასშტაბით აუქციონებზე დაფიქსირებული 1 მგჰც-ის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა;

III ეტაპი: ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასური გამოითვლება შემდეგი ფორმულით

$$P = B \times I \times G$$

სადაც

P არის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაგრძელების საფასური ლარებში;

I არის საქართველოს მასშტაბით გამოთვლილი 1 მგჰც-ის მნიშვნელობა;

B არის რადიოსიხშირული ზოლის სიგანე მეგაჰერცებში;

G არის რადიოსიხშირული ზოლით დაფარულ ტერიტორიაზე არსებული დასახლებული პუნქტების გეოგრაფიული კოეფიციენტების ჯამი, რომლის მნიშვნელობაც განისაზღვრება დანართ 7-ში მოყვანილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასური გამოითვლება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული I და III ეტაპებით.“.

2. დაემატოს დანართი 7 შემდეგი რედაქციით:

„დანართი 7

გეოგრაფიული კოეფიციენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

რადიოსიხშირული ზოლით დაფარული გეოგრაფიული არეალის შესაბამისი გეოგრაფიული კოეფიციენტი დაითვლება შემდეგი ფორმულით:

$$G = \sum_{i=1}^n G_i,$$

სადაც G_i არის რადიოსიხშირული ზოლით დაფარული კონკრეტული დასახლებული პუნქტის გეოგრაფიული კოეფიციენტი, n კი დაფარული დასახლებული პუნქტების რაოდენობა.

დასახლებული პუნქტის კოეფიციენტი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით: $G_i = \frac{P_i}{P}$

სადაც P არის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, P_i კი მოსახლეობის რაოდენობა i- ურ დასახლებულ პუნქტში .

მოსახლეობის რაოდენობა დასახლებული პუნქტების მიხედვით განისაზღვრება სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უახლესი ოფიციალური მონაცემების შესაბამისად.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის წევრი
თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე
ვახტანგ აბაშიძე
ელისო ასანიძე
გიორგი ფრუიძე

